ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3683514

ნომერი: AR1556929

თარიღი : 09.11.2017

გაცემის თარიღი : 15.11.2017

გაცნობის თარიღი : 16.11.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , რაფაელ აგლაძის ქუჩა N57 / ქალაქი თბილისი , კონსტანტინე სტანისლავსკის ქუჩა N1ა/ ქალაქი თბილისი , რაფაელ აგლაძის ქუჩა N59 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ცხვედიანი პ/ნ 01024026453
- თბილისი ს.მგალობლიშვილის ქ. N 17

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა დემონტაჟი

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ საკითხის განსახილველად საჭიროა წარმოადგინოთ შემდეგი:

- ვინაიდან მიწის ნაკვეთი დატვირთულია იპოთეკით წარმოადგინეთ იპოთეკარის, სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკი"-ს (წესდებით განსაზღვრული წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული) სათანადოდ დამოწმებული თანხმობა შენობა/ნაგებობის დემონტაჟთან დაკავშირებით. ასევე დაურთეთ ხელმომწერი პირის შესაბამისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.
- წარმოსადგენია სამივე სადემონტაჟო შენობის სხვადასხვა ზედიდან გადაღებული არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები. ასევე არსებულ ფოტოსურათებზე მიეთითოს საკადასტრო გეგმის მიხედვით მინიჭებული ნუმერაცია.
- განმცხადებლის უფლებამოსილება არ არის მისაღები, წარმოსადგენია მესაკუთრის წარმომადგენლად რეგისტრირებული უფლებამოსილი პირის/პირების მიერ განმცხადებელზე გაცემული სათანადო წესით დამოწმებული მინდობილობა ან აღნიშნული პირი/პირები დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად.
- ვინაიდან, საჯარო რეესტრიდან ამონაწერში გარკვეულ ფართებზე ფიქსირდება სარგებლობა. იმ შემთხვევაში თუ ჩასატარებელი სამუშაოები ეხება სარგებლობით გაცემულ ფართს წარმოსადგენია მოსარგებლის თანხმობა, ხოლო თუ არ ეხება განმარტეთ მოთხოვნის ტექსტში.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.